ანარქისტული ბიბლიოთეკა

2018

ბობ ბლექი – შრომის გაუქმება

მთარგმნელი: **ანა სუმბათაშვილი**

ამერიკელი ანარქისტი ბობ ბლექი იძულებითი შრომის გაუქმების იდეით გამოდის, რაც მისი აზრით წარმოების და საქმიანობის ახლებურმა, ‘’თამაშის’’ ფორმამ უნდა ჩაანაცვლოს. ჩვენ გარკვეულ საკითხებში არ ვეთანხმებით ავტორს, მაგრამ მიგვაჩნია რომ ტექსტი ბევრ საყურადღებო თვალსაზრისს შეიცავს.

არავინ, არასოდეს არაა ვალდებული იშრომოს.

შრომა - ადამიანის თითქმის ყველა უბედურების სათავეა. რომელი ბოროტებაც არ უნდა დაასახელოთ - მისი მიზეზი არის შრომა ან შრომისთვის შექმნილ სამყაროში ცხოვრება. შეწყვიტო შრომა, იგივეა რაც, გათავისუფლდე ტანჯვისგან.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ არაფერი ვაკეთოთ. არამედ, გულისხმობს ცხოვრების ახალი სტილის შექმნის საჭიროებას, დაფუძნებულს ''თამაშზე''. სხვა სიტყვებით - ''ლუდისტურ''[1] ანუ ''მოთამაშე'' არსებობას: გულკეთილობას; მეგობრობას; ერთიანობას; ერთგვარ, ცხოვრების ხელოვნებასაც კი. ამ შემთხვევაში, ''თამაში'' უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ, ბავშვის გართობას, როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს, ეს უკანასკნელი. მე მოგიწოდებთ, ნებაყოფლობით ურთიერთ-დამოკიდებული სიუხვისა და სიხარულის, თანაზიარი თავგადასავლისკენ. თამაში არ არის პასიური დასვენება. ეჭვსგარეშეა რომ დღეს, როგორი შემოსავალი თუ პროფესიაც არ უნდა გვქონდეს, ყველასთვის ჩვეულია სიზარმაცე და უსაქმობისკენ მიდრეკილება. მაგრამ, როგორც კი შრომისგან მოგვრილი გამოფიტვა გაივლის, თითოეული ადამიანი უპირატესობას მიანიჭებს ქმედებას. ორივე - ''ობლომოვობაც'' და ''სტახანოველობაც'', ერთი მედლის ორი მხარეა.

ლუდისტური ცხოვრება-თამაში, ვერ ეგუება დღეს არსებულ რეალობას. მით უარესი, ''რეალობისთვის''- ამ შავი ხვრელისთვის, რომელიც თითქმის მთლიანად შლის ზღვარს ცხოვრებასა და გადარჩენას შორის. რეალობა, მთელ ცხოვრებას, მის მცირედ ნაწილსაც კი შთანთქავს. საინტერესოა, ან იქნებ არც ისე, რომ ყველა ძველ იდეოლოგიას, როგორებიცაა მარქსიზმი და ანარქიზმის [2] ბევრი მიმდინარეობა, განსაკუთრებული გატაცებით სჯერათ შრომის, რადგან სხვა რამის ნაკლებად თუ სწამთ.

ლიბერალები მიუთითებენ, ყოველგვარი დისკრიმინაციის გაუქმების აუცილებლობაზე სამუშაოზე აყვანისას - მე ვამტკიცებ, რომ თავად სამსახურია გასაუქმებელი; კონსერვატორები მხარს უჭერენ შრომის უფლების შესახებ კანონმდებლობას - მე მხარს ვუჭერ ზარმაცობის უფლებას კარლ მარქსის მეამბოხე სიძის, პოლ ლაფარგის [3] მსავსად; მემარცხენეები ითხოვენ საყოველთაო დასაქმებას - მე, ისევე როგორც სურეალისტები, იმ განსხვავებით რომ არ ვხუმრობ, ვითხოვ სრულ დაუსაქმებლობას; ტროცკისტები მოუწოდებენ პერმანენტული რევოლუციისკენ, მე - ლხინისკენ. მიუხედავად იმისა, რომ ყველა იდეოლოგი მხარს უჭერს შრომას - არა მხოლოდ იმიტომ რომ საკუთარი წილიც სხვას გააკეთებინონ - მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით არ აღიარებენ ამას. ისინი გაუთავებლად საუბრობენ ანაზღაურებაზე, სამუშაო საათებზე, შრომის პირობებზე, ექსპლოატაციაზე, პროდუქტიულობასა და რენტაბელობაზე. ხალისით საუბრობენ ყველაფერზე,

გარდა შრომისა. ეს ექსპერტები, რომლებიც ჩვენს მაგივრად ფიქრობენ, იშვიათად თუ გვიზიარებენ თავიანთ დასკვნებს შრომის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მას გამორჩეული ადგილი აქვს თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში. სამაგიეროდ, გაუთავებლად ლაყბობენ ერთმანეთში დეტალებზე. ის, რომ ჩვენ გვიწევს სასიცოცხლო დროის გაყიდვა და ცხოვრების უფლების ყიდვა, ამაზე თანხმდებიან როგორც პროფკავშირები, ისე დამსაქმებლები და მხოლოდ შრომის ღირებულების გამო დავობენ. მარქსისტები ფიქრობენ, რომ ბიუროკრატებმა უნდა გვმართონ. ლიბერტარიანელები [4] თვლიან, რომ ეს ბიზნესმენების საქმეა. ფემინისტებისთვის [5] სულერთია მმართველობის როგორი ფორმაა, მთავარია ქალი იყოს ხელმძღვანელი. ნათელია რომ ამ იდეოლოგიებს შორის სერიოზული განსხვავებაა, ძალაუფლების საშუალებით მოპოვებული ნადავლის გადანაწილებაში. მაგრამ, ასევე ცხადია, რომ არცერთი არ უპირისპირდება ხელისუფლებას, როგორც ასეთს. იმაშიც თანხმდებიან რომ ჩვენ უნდა ვიშრომოთ.

ალბათ გაინტერესებთ, ვხუმრობ თუ სერიოზული ვარ. ერთიც და მეორეც. იყო ლუდისტი არ ნიშნავს იყო სასაცილო. თამაში არ ნიშნავს ფუქსავატობას. ამასთან, ფუქსავატობა არ არის ბანალური რამ. ხშირ შემთხვევაში, ფუქსავატობას, დაუფიქრებლობას, სერიოზულად უნდა შევხედოთ. ვისურვებდი ცხოვრება თამაში ყოფილიყო, ოღონდ თამაში მაღალი ფსონით. მსურს მოგებაზე ვითამაშო.

შრომის ალტერნატივა არაა უსაქმურობა. ლუდისტური არ ნიშნავს კვაალუდურს [6] (კვაალუდი - სედატიურ-ჰიპნოტური ნივთიერება, 70-იან წლებში პოულარული იყო როგორც რეკრეაციული და კლუბური ნარკოტიკი). მიუხედავად იმისა, რომ დიდ პატივს ვცემ უგონო პროსტრაციის სასიამოვნო მდგომარეობას, იგი კარგია მხოლოდ სხვა ტიპის გართობებთან მონაცვლეობისას. მით უმეტეს, არავითარ შემთხვევაში არ მსურს, მართული, საათობით დათვლილი ‘’თავისუფალი დროის’’ რეკლამირება. თავისუფალი დრო - არმუშაობაა, სამსახურის გამო. ‘’თავისუფალი დრო’’ არის შრომისგან გამოჯანმრთელების და სამუშაოს დავიწყების მძვინვარე, მაგრამ უიმედო მცდელობა. უამრავი ადამიანი იმდენად გამოფიტული ბრუნდება შვებულებიდან, რომ სიხარულით მირბიან სამსახურში, დასასვენებლად! სამსახურისა და დასვენების მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ის არის, რომ სამუშაოზე, ჭკუიდან შეშლის და გადაღლის გამო, სხვა თუ არაფერი, ხელფასს მაინც იღებთ.

მე არავის ვეთამაშები ცნებების განსაზღვრობანას. როცა ვამბობ, რომ მინდა შრომის გაუქმება, ვგულისხმობ იმას რასაც ვამბობ, მაგრამ მიუღებელი ასოციაციების თავიდან ასაცილებლად, განვმარტავ ჩემს მიერ გამოყენებული ტერმინებს. შრომას მინიმუმ განვსაზღვრავ, როგორც - იძულებით მუშაობას. სხვა სიტყვებით, არანებაყოფლობით საწარმოო საქმიანობას. ორივე ელემენტი (იძულებითი შრომა და საწარმო) მნიშვნელოვანია. შრომა ანუ

სამსახური - ეს არის პოლიტიკური და ეკონომიკური საშუალებებით, სავალდებულო წარმოების ორგანიზება, მათრახი და ორცხობილა პრინციპის დახმარებით. (ორცხობილა - იგივე მათრახია მეორე ბოლოდან). მაგრამ, წარმოება ყოველთვის არ არის შრომა, როცა შრომობენ არა საკუთარი თავისთვის. შრომისგან მიიღება პროდუქტი ან რაიმე რეზულტატი, რომლითაც შესაძლოა ისარგებლოს მშრომელმა (უფრო ხშირად ვინმე სხვამ). ეს არის ის, რადაც აუცილებლად გვევლინება შრომა. მისი განსაზღვრება ნიშნავს მის შეზიზღებას. მაგრამ ჩვეულებრივ, შრომა უფრო უარესია ვიდრე მისი განსაზღვრება. შრომისთვის დამახასიათებელი დომინაცია, დროთა განმავლობაში დინამიურად ვითარდება და რთულდება. შრომით ჭეშმარიტად დაზიანებულ საზოგადოებებში, როგორიცაა ნებისმიერი ინდუსტრიული, კაპიტალისტური თუ ''კომუნისტური'' საზოგადოება, შრომა დამატებით კიდევ უფრო საშინელ თვისებებს იძენს.

ჩვეულებრივ, კაპიტალისტურ და უფრო მეტად ''კომუნისტურ'' ქვეყნებში, სადაც სახელმწიფო ერთადერთი დამსაქმებელია და ყველა მშრომელი დაქირავებულია - ადამიანები მუშაობენ ხელფასისთვის, სხვა სიტყვებით, თავს ყიდიან მოჭრილი, თვიური პორციის სანაცვლოდ. შესაბამისად, ამერიკელების 95% მუშაობს ვიღაცისთვის (ან რაღაცისთვის). სხვა, ნებისმიერ ალტერნატიულ საზოგადოებაში, რომელიც შეიძლება გაგვახსენდეს, მაგ; სსრკ, იუგოსლავია, კუბა (ბლექის ესე გამოქვეყნდა 1985 წელს), ეს რაოდენობა 100%-ს აღწევს. მხოლოდ აქა-იქ, მესამე სამყაროს, გლეხური მეურნეობის შემორჩენილი ბასტიონები - მექსიკა, ინდოეთი, ბრაზილია, თურქეთი - ჯერ კიდევ იფარებენ საკმაო რაოდენობის სოფლის მეურნეობის მუშაკებს. ისინი ცხოვრობენ ათასწლოვანი ტრადიციის მიხედვით. კერძოდ, გადასახადს (ანუ გამოსასყიდს) უხდიან სახელმწიფოს ან პარაზიტ მიწის მფლობელებს იმისთვის, რათა უბრალოდ თავი დაანებონ. დღევანდელ დროში, ასეთი ტიპის ძარცვა უკვე მიმზიდველადაც კი გამოიყურება. წარმოებაში (ან ოფისში) დასაქმებული, უკლებლივ ყველა მომუშავე დაქირავებულია, შრომობს ზედამხედველობის ქვეშ, რაც ზრდის მონურ ქედმოხრილობას.

მაგრამ თანამედროვე შრომას უარესი ქვეტექსტიც აქვს. ადამიანები არა მხოლოდ მუშაობენ, მათ გააჩნიათ ''პროფესიებიც''. თითოეული ადამიანი ასრულებს მისთვის დაკისრებულ ფუნქციას, ალტერნატივის გარეშე. იმ შემთხვევაშიც კი, თუ იგი საინტერესოა (თუმცა, პროფესიების უმეტესობა ამას სულაც არ გულისხმობს), მისი მონოტონური და სავალდებულო გამეორება, სხვა საქმიანობის არქონის სანაცვლოდ, სრულებით უკარგავს ლუდისტურ მიმზიდველობას. იმის მაგივრად, რომ ადამიანი დაკავებულიყო ''პროფესიული ვალდებულებით'', დროის რაღაც გონივრულ მონაკვეთში, პირიქით, იგი მძიმე ტვირთად აწევს ნებისმიერს, ვინც იძულებულია იშრომოს კვირაში 40 საათი და ვისაც არავინ ეკითხება, როგორ ისურვებდა სამუშაოს შესრულებას. ეს ყველაფერი კეთდება მესაკუთრის ინტერესისთვის, რომელიც თავად არ მონაწილეობს შრომის პროცესში. ამას გარდა, არც სამუშაოს

გადანაწილების ან მცდელობების გაერთიანების და საჭირო მხარეს მიმართვის საშუალება არსებობს მათთვის, ვინც რეალურად აკეთებს საქმეს. ეს არის შრომის ნამდვილი სახე - ბიუროკრატიული იდიოტიზმის, სექსუალური შევიწროვების, დისკრიმინაციის, ხისთავიანი ბოსების სამყარო, რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ დასაქმებულებს და ისევ მათ ადანაშაულებენ ყველა უბედურებაში - იმ მშრომელებს, რომლებმაც ყველა გონივრული კრიტერიუმის გათვალისწინებით, თავად უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები. ოღონდ რეალურ სამყაროში, კაპიტალიზმი, საორგანიზაციო კონტროლის მექანიზმებს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე წარმოების და მოგების რაციონალურ ზრდას.

ყველა ის დამცირება და დეგრადაცია, რასაც ადამიანი იტანს შრომის გამო, შეიძლება შევაჯამოთ ერთ სიტყვაში - ‘’დისციპლინა’’. ფუკომ თავის ნაშრომში (‘’ზედამხედველობა და დასჯა’’,’’Surveillir et punir’’), გაართულა ეს თავისთავად ძალიან მარტივი ფენომენი. დისციპლინა არის სამუშაო ადგილის ტოტალური კონტროლი: მუდმივი დაკვირვება, დაწესებული სამუშაო საათები, შრომის თავსმოხვეული ტემპი, გამომუშავების ნორმა, სასჯელი დაგვიანებისთვის და ა.შ. დისციპლინა - აიგივებს ფაბრიკას, ოფისს ან მაღაზიას - ციხესთან, სკოლასთან და ფსიქიატრიულ საავადმყოფოსთან. ისტორიული გადმოსახედიდან - ახლებური, ორიგინალური და საშინელი მოვლენაა. ისეთი რამ არის, რაც წარსულის დემონი დიქტატორების შესაძლებლობებსაც კი აღემატება. მაგ; ნერონის, ჩინგიზ-ყაენის, ივანე მრისხანეს. მათ, ბოროტი ზრახვების მიუხედავად, უბრალოდ არ ჰქონდათ კონტროლის ისეთი მექანიზმები, როგორიც თანამედროვე დესპოტებს გააჩნიათ. დისციპლინა - მართვის ეშმაკური და თანამედროვე ხერხია. სამუშაო ადგილებზე შემოჭრილი ინოვაციაა და უნდა აიკრძალოს, პირველივე შესაძლებლობის შემთხვევაში.

ასეთია ‘’შრომა’’. მისი საპირისპიროა - თამაში, რომელიც ყოველთვის ნებაყოფლობითია. აქსიომაა, რომ ის რაც შეიძლებოდა თამაში ყოფილიყო, იძულების შემთხვევაში იქცევა სამუშაოდ. ბერნი დე კოვენის (კომპიუტერული თამაშების დიზაინერი) აზრით, თამაში ‘’თანმიმდევრობის დროებით შეჩერებაა’’. ეს განსაზღვრება მიუღებელია, თუ ვგულისხმობთ რომ თამაში, არათანმიმდევრული ბუნებისაა. მთავარი არ არის აქვს თუ არა თამაშს შედეგი. ეს აკნინებს თამაშის მნიშვნელობას. მთავარი ისაა, რომ ნებისმიერი შედეგი უმიზეზოდ მიიღება. თამაში და უანგაროდ გაღება, ახლოსაა ერთმანეთთან. ორივე, თამაშის ინსტიქტის ქცევითი და მორიგებითი ბუნების გამოხატულებაა. თამაშს ახასიათებს შედეგისადმი არისტოკრატული ზიზღი. მოთამაშე რაღაცას იღებს თამაშის პროცესში, სწორედ ამიტომ თამაშობს. მთავარი ჯილდო - განხორციელებული ქმედებებია (როგორიც არ უნდა იყოს ისინი). თამაშის ზოგი მკვლევარი, მათ შორის, იოჰან ჰაიზინგა (მისი წიგნი ‘’Homo Ludens’, "კაცი მოთამაშე ქართულად არის თარგმნილი’), მას განსაზღვრავს როგორც გარკვეული წესების მქონე თამაშ-პარტიას. პატივს ვცემ ჰაიზინგას ერუდიციას, მაგრამ გადაჭრით უარვყოფ მის მიერ შემოტანილ

შეზღუდვებს. მართალია, უამრავი ზუსტი წესების მქონე კარგი თამაში არსებობს - ჭადრაკი, ბეისბოლი, მონოპოლია, ბრიჯი - მაგრამ თამაშის ცნება უფრო ფართოა. საუბარი, სექსი, ცეკვა, მოგზაურობა - არავითარ წესს არ ემორჩილება. თუ ესენი არ არის თამაში, მაშინ რა არის იგი? წესებითაც ისევე ადვილად შეიძლება თამაში, როგორც სხვა დანარჩენით.

შრომა სასაცილოდ იგდებს თავისუფლებას. ოფიციალურად, ყველას გაგვაჩნია უფლებები და ვცხოვრობთ დემოკრატიულ წყობაში. დანარჩენებს ჩვენსავით არ გაუმართლათ და პოლიციურ სახელმწიფოებში ცხოვრობენ. გარემოების ამ უბედურ მსხვერპლებს, უკანონო ბრძანებებისთვის დამორჩილებაც უწევთ. ხელისუფლება მუდმივ კონტროლს ახორციელებს მათზე. იგი ყოველდღიური ცხოვრების წვრილმან მხარეებსაც კი არეგულირებს, როგორც საჯაროდ, ასევე პრივატულად. მათი განმკარგავი ბიუროკრატები არავის წინაშე არიან პასუხისმგებელი, გარდა ზემდგომი ბიუროკრატებისა. არდათანხმება და დაუმორჩილებლობა, დასჯადია. ინფორმატორები მუდმივად გადასცემენ ინფორმაციას ზემდგომს. ბუნებრივია, საშინელებაა ეს ყველაფერი.

და ეს კოშმარი, თანამედროვე შრომის პირობების ზუსტი აღწერაა. ლიბერალები, კონსერვატორები, ლიბერტარიანელები, თვალთმაქცობენ და ფარისევლობენ, როდესაც ტოტალიტარიზმზე საუბრობენ. ნებისმიერ, ''დე-სტალინიზებულ'' ზომიერ დიქტატურაში მეტი თავისუფლებაა, ვიდრე ჩვეულებრივი ამერიკელის სამუშაო ადგილზე.

ოფისსა და ფაბრიკაში, ისეთივე ყაიდის იერარქია და დისციპლინა გვხვდება, როგორიც ციხესა და მონასტერშია. სინამდილეში, ფუკოს და სხვათა კვლევის თანახმად, ფაბრიკა და ციხე თითქმის ერთდროულად წარმოიშვა, ხოლო მათი ხელმძღვანელები, შეგნებულად იღებდნენ ერთმანეთისგან მართვის მეთოდებს.

მშრომელი გახლავთ ნახევარ განაკვეთზე მომუშავე მონა. დამსაქმებელი [7] გეუბნებათ როდის გამოცხადდეთ, რომელ საათამდე დარჩეთ, რა გააკეთოთ დროის ამა თუ იმ შუალედში, რა რაოდენობის სამუშაო შეასრულოთ და რა სისწრაფით. ძალაუფლებით აღჭურვილს, სურვილის შემთხვევაში შეუძლია: შეურაცხყოფა მოგაყენოთ; თქვენი ჩაცმულობა ან ტუალეტში წასვლის სიხშირეც კი არეგულიროს; იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნებისმიერი საბაბით ან მის გარეშე დაგითხოვოთ; მოგიჩინოთ ''ჩამშვები'' ან უშუალოდ თქვენზე მოთვალთვალე ხელმძღვანელი; შეადგინოს დოსიე თითოეულ მშრომელზე. შეპასუხება, სუბორდინაციის დარღვევად ითვლება, თითქოს მშრომელი ურჩი ბავშვი იყოს. რის გამოც, შეიძლება არა მხოლოდ გაგათავისუფლოთ, არამედ უმუშევრობისთვის განკუთვნილი შემწეობაც გაგიუქმოთ. ანალოგიურად, აუცილებლად გამართლებული არაა, როდესაც ბავშვები სკოლასა თუ სახლში იგივე მოპყრობას იმსახურებენ

‘’მოუმწიფებლობის’’ გამო. რაზე მეტყველებს ეს, მათი მომუშავე მშობლების და მასწავლებლების შესახებ?

ჩემს მიერ აღწერილი, დომინაციის დამამცირებელი სისტემა, ათწლეულებით იმორჩილებს ქალთა და მამაკაცთა უმრავლესობას, ცხოვრების აქტიურ წლების განმავლობაში. გარკვეულ წილად, არასწორია კაპიტალიზმი, დემოკრატია ან უფრო უარესი - ინდუსტრიული ვუწოდოთ ჩვენს სისტემას. მისი ნამდვილი სახელია - ფაბრიკული ფაშიზმი ან საოფისე ოლიგარქია. ნებისმიერი, ვინც ამ ადამიანებს ‘’თავისუფალს’’ უწოდებს, სულელია ან მატყუარა. შენ ის ხარ, რასაც აკეთებ. თუ დაკავებული ხარ მოსაწყენი, სულელური, მონოტონური სამუშაოთი, მოსალოდნელია რომ თვითონ გახდები მოსაწყენი, სულელი, მონოტონური. იმ საყოველთაო გამოტვინების [8] უმთავრესი მიზეზი, რომელსაც ვხედავთ ჩვენს გარშემო, შრომა უფროა, ვიდრე მაზომბირებელი ტელევიზია და განათლების სისტემა. ადამიანის ცხოვრება სწორხაზოვანი მკაცრი რეჟიმია. სკოლის შემდეგ სამსახური. დასაწყისში, ის შეზღუდულია ოჯახით, ბოლოს - მოხუცთა სახლით. ადამიანი მიჩვეულია იერარქიას და ფსიქოლოგიურად ხაფანგშია მოქცეული. დამოუკიდებლად არსებობის უნარი იმდენად ატროფირებულია, რომ თავისუფლების შიში, ერთერთი იმ ფობიათაგანია, რომელსაც რეალური საფუძველი აქვს. სამუშაო ადგილზე მორჩილებას მიჩვეული, იგივეს იმეორებს ოჯახში. **თვითონ** ახდენს სისტემის კვლავწარმოებას ყველგან: პოლიტიკაში, კულტურაში და ა.შ. საკმარისია შრომის საშუალებით დააკარგვინო ადამიანს სასიცოცხლო ძალა და ყველგან დაემორჩილება იერარქიას, რადგან უკვე მიჩვეულია.

ჩვენ ისეთი სიახლოვიდან ვუცქერთ შრომის სამყაროს რომ ვერ აღვიქვამთ მის ზემოქმედებას. იმის გააზრებისთვის თუ რა პათოლოგიამდე მივიდა საქმე, საჭიროა მივმართოთ გარეშე დამკვირვებელს, სხვა დროიდან, სხვა კულტურიდან. ჩვენს წარსულში იყო დრო, როდესაც ‘’შრომის ეთიკა’’ გაუგებარი იყო. შესაძლოა ვებერი [9] მართალი იყო, როცა მისი წარმოშობა დაუკავშირა რელიგიას - კალვინიზმს. კალვინიზმი, დღეს რომ აღმოცენებულიყო და არა ოთხი საუკუნის წინ, აუცილებლად და დამსახურებულადაც შერაცხავდნენ, როგორც ტოტალიტარულ კულტს. შრომის, პერსპექტივაში დასანახად, საკმარისია ძველ ხალხთა სიბრძნეზე დაკვირვება. მათ იცოდნენ, რას ნიშნავდა იგი სინამდვილეში. მიუხედავად, კალვინიზმის მიერ გაჩენილი ბზარისა, ძველმა სიბძნემ მაინც მოაღწია ინდუსტრიალიზაციამდე და მისი მოციქულების მიერაც იქნა შემჩნეული და აღიარებული.

მოდით, ერთი წუთით დავივიწყოთ რომ შრომა ადამიანს აქცევს უმოქმედო, დაქვემდებარებულ არსებად. ყველა გონივრული, ფსიქოლოგიური ან იდეოლოგიური, თეორიის საწინააღმდეგოდ, წარმოვიდგინოთ რომ შრომა არ ახდენს ზეგავლენას პიროვნების ფორმირებაზე. უფრო მეტიც, დავუშვათ რომ სინამდვილეში შრომა არ არის მოსაწყენი, დამამცირებელი და დამქანცველი.

იგი **მაინც** ფეხქვეშ თელავს, ჰუმანურ და დემოკრატიულ იდეალებს, თუნდაც იმიტომ რომ, უამრავ დროს გვართმევს. სოკრატე ამბობდა: ფიზიკურად მშრომელი - ცუდი მეგობარი და მოქალაქეა, რადგან მეგობრული თუ სამოქალაქო ვალის მოსახდელად დრო არ რჩებაო. სოკრატე მართლი იყო. რასაც უნდა ვაკეთებდეთ, სამუშაოს გამო მუდამ საათს შევცქერით. ძირითადად, თავისუფალი დრო, ისევ სამუშაოსთვის მზადებას ეძღვნება: სამსახურში წასვლას, შინ დაბრუნებას, მისგან გონზე მოსვლას. თავისუფალი დრო - ევფემიზმია, უცნაური ხერხია, რათა წარმოების აგენტი - მუშა, არა მარტო თავისით გადაადგილდეს სამსახურის მიმართულებით და უკან, არამედ უზრუნველყოს საკუთარი თავის ''რემონტი'' და სამუშაო ფორმაში ჩადგომა. ამას არ აკეთებს არც ნახშირი, არც ფოლადი, არც საჭრელი დაზგა თუ საბეჭდი მანქანა. მშრომელი აკეთებს. არ არის გასაკვირი რომ, ერთერთ განგსტერულ ფილმში, ედვარდ ჯ. რობინსონის (ამერიკელი მსახიობი) პერსონაჟმა წამოიძახა: ''სამუშაო სულელებისთვისაა!''

პლატონი და არისტოტელე, სოკრატეს მიაწერდნენ და ღიად მხარს უჭერდნენ მის აზრს, შრომის უარყოფითი ზეგავლენის შესახებ მშრომელის მოქალაქეობრივ და ადამიანურ თვისებებზე. ჰეროდოტემ, ძველი საბერძნეთის განვითარების მთავარ ატრიბუტად შრომისადმი სიძულვილი განსაზღვრა. რომის მაგალითად, მხოლოდ ციცერონის ერთ ფრაზას მოვიყვან: ''ის, ვინც ფულს ითხოვს შრომის სანაცვლოდ, მონურ მდგომარეობაში აყენებს საკუთარ თავს''. დღეს იშვიათია ასეთი გულახდილობა, მაგრამ თანამედროვე პრიმიტიულ საზოგადოებებში, რომლებსაც ჩვეულებრივ ზემოდან ვუყურებთ, საკმარისად მოიძებნებიან ადამიანები, ვისგანაც დასავლელი ანთროპოლოგები ბევრ რამეს ისწავლიან. ინდონეზიაში, კაპაუკუს ტომის წესჩვეულებაშია დღეგამოშვებით მუშაობა, ძალების აღდგენის და გამოჯანმრთელების მიზნით. დღევანდელი უბედურების გზაზე დამდგარი ჩვენი წინაპრები, მე-18 საუკუნეში, უკვე ხვდებოდნენ, რომ კარგავდნენ ინდუსტრიალიზაციის საპირისპირო მხარეს. პატივს სცემდნენ ''წმინდა ორშაბათს''.[10] ამიტომ, ფაბრიკების მეპატრონეებისთვის ნამდვილი თავის ტკივილი იყო სამუშაო კვირის de facto შემოღება, მის ოფიციალურად დაწესებამდე, 150-200 წლით ადრე. დიდხანს აჩვევდნენ ფაბრიკის გაბმული ზარის ტირანიას, რაც დღეს მაღვიძარამ ჩაანაცვლა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ საჭირო გახდა ერთი-ორი თაობის მამაკაცების ჩანაცვლება მორჩილებას მიჩვეული ქალებით. ასევე, ბაშვებით, რომლებსაც თავიდანვე ამზადებდნენ ფაბრიკა-ქარხნებში შრომისთვის.

ძველი რეჟიმის [11] ექსპლოატირებული გლეხებიც კი ნახულობდნენ დროს, საკუთარი თავისთვის. პ. ლაფარგის მიხედვით, ფრანგი გლეხების კალენდრის მეოთხედს, დასვენების დღეები შეადგენდა. ანალოგიურად, ა. ჩაიანოვის [12] კვლევის თანახმად, ცარისტული რუსეთის სოფლებში, არც ისე პროგრესულ საზოგადოებაში - მეოთხედს ან მეხუთედს. წარმოებისკენ მიმართულები, ჩვენ ძალიან უკან ვართ, ამ ჩამორჩენილი საზოგადოებებისგან.

ექსპლოატირებული ‘’მუჟიკი’’ [13] იკითხავდა: რისთვის ვმუშაობთ? ჩვენც იგივე კითხვა უნდა დავუსვათ, საკუთარ თავს.

ჩვენი დაზიანების ხარისხის გასააზრებლად, კაცობრიობის თავდაპირველი მდგომარეობა განვიხილოთ, როდესაც მონადირეობით და შემგროვებლობით დაკავებულებმა, არც ხელისუფლების რაობა ვიცოდით, არც საკუთრების. თომას ჰობსის [14] ვარაუდით, იმ დროინდელი ცხოვრება უსიამოვნო, სასტიკი და ხანმოკლე უნდა ყოფილიყო. სხვები თვლიან, რომ ეს იყო გაუთავებელი ბრძოლა ბუნებასთან, სადაც სიკვდილი და უბედურება ემუქრებოდა ნებისმიერს, ვისაც არ გაუმართლა ან უუნარო აღმოჩნდა. მსგავსი აზრი, სინამდვილეში გახლდათ, საკუთარი შიშის პროეცირება - ხელისუფლების გარეშე არსებობას მიუჩვეველ საზოგადოებაში, მთავრობის გარეშე დარჩენის შიში, ჰობსის დროინდელი სამოქალაქო ომის პერიოდის ინგლისში. ჰობზის თანამემამულეები, უკვე იცნობდნენ საზოგადოების ალტერნატიული ხერხით მოწყობის მეთოდს, განსაკუთრებით, ჩრდ. ამერიკის მაგალითით, რომელიც განსხვავებულ ცხოვრების წესს წარმოშობდა. მაგრამ ეს მოვლენა ძალიან უჩვეულო იყო და ადვილად აღსაქმელი არ იქნებოდა. (თითქმის იგივე ცხოვრებისეული პირობების მქონე, დაბალი სოციალური ფენისთვის, უფრო გასაგები იყო ინდიელების ცხოვრება და ხშირად, მიმზიდველადაც გამოიყურებოდა. მე-18 საუკუნის განმავლობაში, დეზერტირი ინგლისელი ფერმერები გადადიოდნენ ინდიელების მხარეს და დაბრუნებაზე უარს ამბობდნენ. ხოლო ინდიელები, ისევე მიდიოდნენ თეთრკანიანებთან, როგორც დასავლეთ გერმანელები, ბერლინის კედლის იქით, აღმოსავლეთ გერმანიაში).

პ. კროპოტკონის აზრით, რომელიც მან ჩამოაყალიბა წიგნში ‘’ურთიერთდახმარება, როგორც ევოლუციის ფაქტორი’’, ტომას ჰაქსლისეული [15] დარვინიზმის ვერსია (ძლიერის გადარჩენა), ვიქტორიანული ეპოქის ინგლისის ეკონომიკურ პირობებს უფრო აღწერს, ვიდრე ბუნებრივ გადარჩევას. (პ. კროპოტკინი მეცნიერი, გეოგრაფი იყო. ციმბირში მოგზაურობის დროს, საშუალება მიეცა ეწარმოებინა საველე სამუშაოები და იცოდა რასაც წერდა). პოლიტიკური და სოციალური თეორიების უმეტესობა, არ-აღიარებული ავტობიოგრაფიებია. იგივე ითქმის, ჰობსის და მისი მიმდევრების მოთხრობილ ისტორიაზე.

ანთროპოლოგმა მარშალ სალინსმა, [16] თანამედროვე პირველყოფილ საზოგადოებებზე დაკვირვების შემდეგ, სტატიაში ‘’სიუხვის თავდაპირველი საზოგადოება’’, ფარდა ახადა ჰობზიანურ მითს. სალინსის დასკვნით: ‘’ მონადირეები და შემგროვებლები, ჩვენზე ცოტას მუშაობენ, საკვების მოპოვება სულაც არაა უწყვეტი შრომა, არამედ ხანგამოშვებითი. ხშირად ისვენებენ. ხოლო, წელიწადის განმავლობაში ძილის ხანგრძლივობა, ბევრად აღემატება ნებისმიერ ჭარბ მოვლენას სხვა ტიპის საზოგადოებაში’’. ‘’დღეში ოთხ საათს მუშაობენ, თუ შეიძლება მას ‘’მუშაობა’’ ვუწოდოთ. მათი ‘’შრომა’’,

ჩვენი ტერმინებით, ხასიათდება, როგორც კვალიფიციური, ფიზიკური და ინტელექტუალური ძალების მობილიზება''. სალინსის მიხედვით, არაკვალიფიციური შრომის ცნება, მხოლოდ ინდუსტრიულ საზოგადოებაშია შესაძლებელი. შესაბამისად, მათი შრომის განსაზღვრება ემთხვევა ფრიდრიხ შილერის მიერ თამაშის განმარტებას. თამაში - საქმიანობის ერთადერთი ფორმა, რომლის დროსაც ადამიანი საკუთარი დუალური არსების სრულ რეალიზაციას ახდენს, გამოხატულს - ფიქრით და გრძნობით. შილერის თანახმად: ''ცხოველი შრომობს, როდესაც მისი მამოძრავებელი ძალა დანაკლისია, და თამაშობს, როცა მოჭარბებული სიცოცხლე ფეთქავს და უბიძგებს ქმედებისკენ''. [17] (თანამედროვე ვერსიაა, აბრაამ მასლოუს [18] მოტივაციის თეორია. საეჭვოდ მოწოდებული, როგორც ''განვითარების მოდელი''. მასლოუ იგივეს აყალიბებს ადამიანის ''დეფიციტარული'' და ''ყოფიერებითი'' მოთხოვნილებების დაპირისპირებით). შექმნის პროცესი ყოველთვის გულისხმობს თამაშის და თავისუფლების თანაარსებობას. მარქსიც კი, რომლის ადგილი წარმოების პანთეონში მოიაზრება (მისი საუკეთესო ზრახვების მიუხედავად), აღნიშნავდა რომ ''თავისუფლება იწყება ზღვარიდან, როდესაც საჭიროებით ნაკარნახევი ან გარე მიზანშეწონილობით გამოწვეული შრომა აღარ არსებობს''. მაინც ვერ გამოუტყდა საკუთარ თავს რომ ბედნიერი ზღვარი და საბოლოო წერტილი - შრომის გაუქმებაა. რაც გასაგებია, უცნაური იქნებოდა, მშრომელთა ინტერესების დაცვის და შრომის გაუქმების ერთდროულად მოთხოვნა. მაგრამ, ჩვენ შეგვიძლია, საკუთარ თავს მივცეთ ამის უფლება.

ინდუსტრიალიზაციამდე პერიოდის შესახებ ყველა, სერიოზულ ევროპულ ნაშრომში შეინიშნება უკან დაბრუნების მისწრაფება ან პირიქით, ისეთი მომავლის წარმოდგენა, სადაც შრომა აღარ იქნება. მაგ; დოროთი ჯორჯის - ''გარდამავალი ინგლისი'',[19] გამოცემული თანამედროვე ევროპის გარიჟრაჟზე; პიტერ ბერკის - ''ხალხური კულტურა'' [20] . მნიშვნელოვანია, დანიელ ბელის - ''შრომა და უკმაყოფილება'' [21] . როგორც ვიცი, ეს პირველი ტექსტია, სადაც ღიად არის ნახსენები ''შრომის წინააღმდეგ ჯანყი''. ბელის ნაშრომი რომ სწორად აღექვათ, მაშინ არ გამოსცემდნენ ტომში, სახელწოდებით - ''იდეოლოგიის დასასრული''. ვერც მისმა მომწონებლებმა და ვერც კრიტიკოსებმა, ვერ შენიშნეს რომ, ბელის თეზისი არ ნიშნავს იდეოლოგიის ან სოციალური არასტაბილურობის დასასრულს, არამედ - რაღაც ახლის დასაწყისს: ვერ გამოხატულს იდეოლოგიით და ყოველგვარი იდეოლოგიით შეუბოჭავს. ბელმა არა, მაგრამ საიმორ ლიპსეტმა [22] , იმავე პერიოდში, ესეში ''პოლიტიკური ადამიანი'', დაასკვნა, რომ თურმე ''ინდუსტრიული რევოლუციის პრობლემები გადაწყვეტილიაო''. რამდენიმე წელიწადში, სტუდენტების, პოსტ თუ მეტა-ინდუსტრიულმა, მღელვარე უკმაყოფილებამ ის ''მოისროლა'' ბერკლის უნივერსიტეტიდან, შედარებით წყნარ (დროებით) ჰარვარდში.

როგორც, დანიელ ბელმა აღნიშნა, ადამ სმითი წიგნში ‘’ხალხთა სიმდიდრის შესახებ’’, მიუხედავად მისი ენთუზიაზმისა ბაზრის და შრომის დანაწილების თაობაზე, შრომის უარყოფით მხარეს უფრო უკეთესად (და პატიოსნად) ხედავდა, ვიდრე აინ რანდი, ჩიკაგოელი ეკონომისტები ან სმითის თანამედროვე მიმდევრები. სმითის დაკვირვებით: ‘’ადამიანთა უმრავლესობის გაგების უნარის მოცულობა, განპირობებულია მათი საქმიანობით. ადამიანს, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე მარტივი მოქმედებითაა დაკავებული, არ აქვს გონების განვითარების საშუალება. შედეგად, რამდენადაც შესაძლებელია ისეთ იდიოტად და უცოდინრად ყალიბდება’’. უხეშია, მაგრამ ემთხვევა, ჩემს მიერ შრომის დახასიათებას. დანიელ ბელმა, ამერიკული შრომის შესახებ ანგარიშში (Work and its Discontents), 1956 წელს, ეიზენჰაუერის კრეტინიზმის და ამერიკული თვითკმაყოფილების ჟამს, გამოავლინა, 70-იანი და შემდგომი წლების, არაორგანიზებული და ორგანიზებას ვერ-დაქვემდებარებული რამ - ის რისი ექსპლოატაცია შეუძლებელია და ამიტომ იგნორირებულია. ეს არის - შრომისადმი დაუმორჩილებლობა. იგი არ ფიგურირებს laissez-faire-ის აპოლოგეტი ეკონომისტების ტექსტებში, როგორებიც არიან: მილტონ ფრიდმანი, მიურეი როტბარი, რიჩარდ პოზნერი. რადგან, როგორც ‘’Star Trek’’-ში იტყოდნენ: ‘’პრობლემა გამოთვლილი არ არის’’.

შრომის საწინააღმდეგოდ მოყვანილი არგუმენტები თავისუფლების სიყვარულს ემყარება და შეიძლება არადამაჯერებელი იყოს პრაგმატიკოსი ან პატერნალისტური ყაიდის ჰუმანისტებისთვის. მაგრამ ისეთი მტიცებულებებიც არსებობს, რომელთა უგულვებელყოფას ვერ შეძლებენ. რეკლამისთვის დამახასიათებელი ფრაზეოლოგიით, შეიძლება ითქვას, რომ: ‘’შრომა, სახიფათოა სიცოცხლისთვის!’’. მართლაც, შრომა მასობრივი მკვლელობა და გენოციდია. პირდაპირ თუ ირიბად, ადრე თუ გვიან, შრომა შეიწირავს ამ წინადადების თითქმის თითოეულ მკითხველს. ყოველწლიურად, ჩვენს ქვეყანაში, სამუშაო ადგილზე იღუპება 14 000-დან, 25 000-მდე ადამიანი. საწარმოო ტრავმას იღებს - 2 მილიონი. ოღონდ, ეს არის ‘’საწარმოო ტრავმის’’ კონსერვატიულ გაგებაზე დაყრდნობით მიღებული რიცხვი. ამიტომ, ნაგულისხმევი არ არის პროფესიული დაავადებების ნახევარი მილიონი შემთხვევა, მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში. ხელში ჩამივარდა, პროფესიული დაავადებების სამედიცინო სახელმძღვანელო, რომლის მოცულობა 1000 გვერდზე მეტია. მაგრამ ეს მხოლოდ აისბერგის მწვერვალია. როგორც წესი, ოფიციალური სტატისტიკა აშკარად გამოვლენილ შემთხვევებს აღნუსხავს. მაგ; 100 000, ფილტვის დაავადების მქონე მეშახტიდან, წელიწადში იღუპება - 4 000. ლეტალური შედეგი უფრო მეტია, ვიდრე შიდსის შემთხვევაში, რომელსაც, გაცილებით დიდი ყურადღება ეთმობა მასმედიით. (სინამდვილეში, ყველა ფიქრობს, რომ შიდსით მხოლოდ ‘’გარყვნილები’’ ავადდებიან და მათ შეეძლოთ რისკის თავიდან აცილება, ხოლო ქვანახშირის მოპოვება, სასიკეთო და წმინდა საქმედ არის მიჩნეული). მაგრამ სტატისტიკა არ ითვალისწინებს ათობით მილიონ ადამიანს, რომლებსაც შრომა უმოკლებს

სიცოცხლის ხანგრძლივობას, რაც პირდაპირი მნიშვნელობით მკვლელობაა. დაფიქრდით, სულის ამოხდამდე მომუშავე იმ ექიმებზე, რომლებიც 50 წლის ასაკამდე ძლივს აღწევენ. იფიქრეთ დანარჩენ ''ვორკაჰოლიკებზეც''.

იმ შემთხვევაშიც, თუ უშუალოდ მუშაობის დროს არ მოგკლავენ ან დაგასახიჩრებენ, სრულიად ადვილი შესაძლებელია ეს მოხდეს სამსახურში წასვლის, შინ დაბრუნების, მისი ძებნის ან დავიწყების მცდელობის დროს. ავტოავარიაში დაღუპულების უმრავლესობას ის ადამიანები შეადგენენ, ვინც ზემოთ ჩამოთვლილი საქმიანობით იყვნენ დაკავებული. მოკლულთა ამ გაფართოებულ წრეს უნდა მივუმატოთ, ინდუსტრიული ნარჩენებით დაბინძურებული გარემოს გამო გაავადებულები, სამსახურით გამოწვეული ალკოჰოლიზმი ან ნარკომანია. სიმსივნე და გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, პირდაპირ ან ირიბად, უმეტეს შემთხვევაში - დასაბუთებულად, შეგვიძლია დავუკავშიროთ სამუშაოს.

მაშ ასე, შრომა, როგორც ინსტიტუტი და ცხოვრების წესი - ადამიანების ხოცვაა. როგორც ყველამ იცის, კამბოჯელები შეიშალნენ და თვითგენოციდი მოაწყვეს. მაგრამ ჩვენ მათგან რითი განვსხვავდებით? პოლ პოტის [23] რეჟიმს, ეგალიტარული მომავლის რაღაც ხედვა მაინც ჰქონდა. ჩვენ კი, ექვსნიშნა ციფრის რაოდენობით ვხოცავთ ადამიანებს, რათა გადარჩენილებს მივყიდოთ ''ბიგ მაკი'' და ''კადილაკი''. ყოველწლიურად, ჩვენი 40-50 000, ავტოავარიაში დაღუპული, მხოლოდ სტატისტიკაა და არა მოწამეები. იხოცებიან არაფრის გამო. უფრო ზუსტად, სამსახურისთვის - რაც იგივეა, არაფრის გამო დაიღუპო.

ლიბერალებისთვის [24] სამწუხარო ფაქტია, მაგრამ სახელმწიფოს მარეგულირებელ როლზე ფიქრი, უშედეგოა ამგვარ სიკვდილ-სიცოცხლის კონტექსტში. ''სამუშაო პირობების უსაფრთხოების და ჯანდაცვის ფედერალური სამმართველო'' - OSHA, სამუშაო ადგილებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის შეიქმნა. თუმცა, იქამდეც, სანამ უზენაესი სასამართლოს საშუალებით, რეიგანი ძირს გამოუთხრიდა, მისი არსებობა ჩვეულებრივი ფარსი იყო. კარტერის დროინდელი დაფინანსებით (საკმაოდ გულუხვი, დღევანდელთან შედარებით), თითოეულ მშრომელს შეეძლო, 46 წელიწადში ერთხელ ''დალოდებოდა'' OSHA-ს ინსპექტორის ვიზიტს.

სახელმწიფოს მიერ რეგულირებული ეკონომიკაც ვერ აგვარებს პრობლემას. სოციალისტურ ქვეყნებში, შრომა უფრო საშიშია. მოსკოვის მეტროს მშენებლობისას, ათასობით მუშა დაიღუპა და დასახიჩრდა. მიჩქმალულ საბჭოთა ატომურ კატასტროფებთან შედარებით, თაიმზ ბიჩი და თრი-მაილ აილენდი [25] , გავს სკოლაში, სამხედრო გაკვეთილზე მომხდარ უმნიშვნელო ინცინდენტს. მეორე მხრივ, ესოდენ პოპულარული დერეგულაცია, პრობლემას ვერ უშველის - პირიქით, გააღრმავებს. ჯანდაცვის და უსაფრთხოების კუთხით, შრომა ყოველთვის უარესი იყო იქ, სადაც ეკონომიკა მუშაობდა laissez-faire-ის პრინციპით.

იუჯინ ჯენოვეზემ [26] და სხვა ისტორიკოსებმა, დაასაბუთეს რომ, ჩრდ. ამერიკის და ევროპის ფაბრიკებში მომუშავე დაქირავებული მუშები უარესად იყვნენ დაბინავებული, ვიდრე სამხრეთ ამერიკის მონები, რასაც სამოქალაქო ომამდეც ამტიკებდნენ მონობის აპოლოგეტები. როგორც ჩანს, ბიზნესსა და ბიუროკრატიას შორის ურთიერთობის გადანაწილება, დიდად ვერ ცვლის სიტუაციას საწარმოში. ბუნდოვანი სტანდარტების ზედმიწევნით შესრულების შემთხვევაშიც, რომლებიც თეორიულად უნდა დაიცვას OSHA-მ, სავარაუდოდ გაჩერდებოდა მთელი ეკონომიკა. როგორც ჩანს, ძალაუფლებმა ეს იციან, რადგან არც კი ცდილობენ ებრძოლონ ყველაზე მავნე დამრღვევებს.

წესით, ზემოთქმული არ უნდა იყოს საკამათო. მშრომელთა უმრავლესობას სძულს სამუშაო. სამსახურიდან წასვლის, არ გამოცხადების, წვრილმანი ქურდობის, საბოტაჟის, სპონტანური გაფიცვის და სხვა ხერხებით თავის არიდების რიცხვი სულ უფრო მატულობს. შესაძლოა, იყოს შრომის გაცნობიერებული და არა, ემოციური მიუღებლობაც. მიუხედავად ამისა, დასაქმებულებს და განსაკუთრებით, დამსაქმებლებს შორის მიღებული აზრით - შრომა აუცილებელი და გარდაუვალია.

არ ვეთანხმები ამ აზრს. მოცემულ მომენტში, შეგვიძლია გავაუქმოთ შრომა და ჩავანაცვლოთ ახალი ტიპის მრავალმხრივი, სასარგებლო მიზნების მქონე თავისუფალი საქმიანობით. შრომის გაუქმება ორი მხრიდან უნდა განვიხილოთ - რაოდენობრივი და ხარისხობრივი. რაოდენობრივი თვალსაზრისით, საჭიროა შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის მკვეთრი შემცირება. უამრავი უსარგებლო სამუშაოსგან თავის დაღწევა. მეორე მხრივ, ხარისხობრივი ასპექტი პრობლემის არსია. რევოლუციური სიახლე იქნება სასარგებლო შრომის შენარჩუნება და გარდაქმნა მრავალფეროვან, მიმზიდველ თამაშად და ხელობად. ამ გზით, იგი დაემსგავსება დროის სასიამოვნოდ გატარების საშუალებას, რომელიც სასარგებლო პროდუქტს იძლევა. რა თმა უნდა, ეს არ აქცევს მას ნაკლებად სასიამოვნოდ. ამის შემდეგ, შესაძლებელი იქნება, ძალაუფლების და საკუთრების ხელოვნური ბარიერის გაქრობა. წარმოება, იქცევა გართობად და ჩვენ აღარ შეგვეშინდება ერთმანეთის.

ვფიქრობ, ამ გზით შეუძლებელი იქნება, სამუშაოთა უმეტესი ნაწილის შენარჩუნება. მაგრამ, ძალიან ბევრი სამუშაოს დატოვება არც ღირს. მხოლოდ მცირე და თანდათანობით კლებად შრომას მოაქვს სარგებელი და არა საყოველთაო შრომის კვლავწარმოებას, მისი პოლიტიკური და იურიდიული დანამატებით. მე-20 საუკუნის 60-იან წლებში, პოლ და პერსივალ გუდმანების [27] მოსაზრებით, იმ დროისთვის წარმოებული შრომის, მხოლოდ 5% იქნებოდა საკმარისი - მოსახლეობის უზრუნველყოფისთვის საკვებით, საცხოვრისით და ტანსაცმლით. თუ ეს ციფრი ზუსტია, დღეს უფრო დაბალი პროცენტი იქნება საჭირო. მათ მხოლოდ ივარაუდეს, მაგრამ ეს არ ცვლის საქმის არსს. პირდაპირ თუ ირიბად, შრომის დიდი ნაწილი - არა წარმოებასთან, არამედ,

ვაჭრობასა და საზოგადოების მართვასთან არის დაკავშირებული. შემდეგი პროფესიების მქონე, მილიონობით ადამიანი, შესაძლებელია ერთბაშად გათავისუფლდეს შრომისგან: გაყიდვების მენეჯერი, ჯარისკაცი, პოლიციელი, ბროკერი, მღვდელი, ბანკირი, ადვოკატი, რეპეტიტორი, მიწის მფლობელი, დაცვის თანამშრომელი, სარეკლამო აგენტი და ყველა, ვინც მათთვის მუშაობს. როდესაც, მაღალი თანამდებობის პირს ათავისუფლებ, მას თან მიყვებიან ქვეშევრდომები და ლაქიები. ეკონომიკა კოლაფსირდება.

მშრომელთა 40% -ს ''თეთრი საყელოები'' შეადგენენ, ყველაზე აბსურდული და მოსაწყენი სახის სამუშაოთი. მაგ; სადაზღვევო და საბანკო სექტორი; უძრავი ქონების ბიზნესი - უაზრო საქაღალდე საქმესთან არის დაკავშირებული. შემთხვევითი არ არის, რომ ''მესამე'' ანუ მომსახურეობის სექტორი, ზრდას განაგრძობს. მაშინ როდესაც, ''მეორე'' სექტორი - ინდუსტრია, უძრავ მდგომარეობაშია. ხოლო, ''პირველი'' - სოფლის მეურნეობა, თითქმის გამქრალია. შრომა მათ სჭირდებათ, ვისი ძალაუფლების შესანარჩუნებლადაც არსებობს. ამიტომ, საზოგადოებრივი წესრიგი რომ არ დაირღვეს, მარტივად გადაჰყავთ მშრომელები, შედარებით სასარგებლო სფეროებიდან, უსარგებლოში. სულერთია რა იქნება, ოღონდ რაიმე სამუშაო ადგილი იყოს. სწორედ ამიტომ, მიუხედავად დაკისრებული სამუშაოს დასრულებისა, განსაზღვრულ დრომდე ვერ მიდიხარ სახლში. მათ შენი დრო სჭირდებათ. იმდენი, რამდენიც შენს დასამორჩილებლად არის აუცილებელი. ბოლო 50 წლის მანძილზე, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, მხოლოდ რამდენიმე წუთით შემცირდა [28] . სხვა რითი აიხსნება ეს?

გადავიდეთ ინდუსტრიული შრომის დანაწევრებაზე. ჩამოვაჭრათ მას სამხედრო მრეწველობა, ატომური ენერგეტიკა, ჰამბურგერები და სხვა მავნე საკვები, ინტიმური აეროზოლები ქალებისთვის და რაც მთავარია, ავტომობილების ინდუსტრია. აქა-იქ შემორჩენილ ''Stanley Steamer''-ს'' ან ''Ford Model-T''-ს, კიდევ არა უშავს. მაგრამ, ის წყლულებად ქცეული ავტო-ეროტიზმი, საიდანაც აღმოცენდა დეტროიტი და ლოს-ანჟელესი, ულაპარაკოდ გასაუქმებელია. ამგვარად, პრაქტიკულად გადავჭრიდით ენერგორესურსების, გარემოს დაბინძურების და მათგან გამომდინარე სოციალურ პრობლემებს.

და ბოლოს, აღმოსაფხვრელია ყველაზე გავრცელებული პროფესია, მაქსიმალურად ხანგრძლივი სამუშაო დღით, უმცირესი ხელფასით, მომაბეზრებელი მოვალეობებით - ეს არის დიასახლისობა: საოჯახო საქმეები და ბავშვის აღზრდა. დაქირავებული შრომის გაუქმებით და სრული დაუსაქმებლობით, ჩვენ საფუძველს ვაცლით შრომის დანაწილებას სქესობრივი ნიშნითაც. ნუკლეარული ოჯახი, როგორც ვიცით, მორგებულია შრომის გადანაწილების იმგვარ მეთოდს, რომელიც თანამედროვე დაქირავებულ შრომის სისტემას აწყობს. მოგწონთ ეს თუ არა, ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში, გონივრულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებად მიიჩნევა, რომ კაცი მარჩენალია, ხოლო ქალი სიბინძურეების წმენდაშია და ზრუნავს მამაკაცის თავშესაფარზე, ამ უგულო სამყაროში. ბავშვები კი,

მწკრივში დაწყობილები მიემართებიან საკონცენტრაციო ბანაკებში, სახელად - ''სკოლა''. [29] ძირითადად, იმისთვის რომ დედას არ შეუშალონ ხელი და თან კონტროლის ქვეშ იყვნენ. დამატებით კი, იმისთვის რომ მიეჩვიონ პუნქტუალობას და გახდნენ დამჯერები, რაც მშრომელის აუცილებელი თვისებებია. თუ გინდა პატრიარქატისგან თავის დაღწევა, გააუქმე ოჯახი, რადგან აუნაზღაურებელი, საოჯახო, ''ჩრდილოვანი შრომა'', როგორც მას უწოდებს ივან ილიჩი [30], ხელს უწყობს ანაზღაურებად დაქირავებულ შრომას, რომლისთვისაც აუცილებელია ოჯახი. არა-ნუკლეარულ სტრატეგიაში ასევე მოიაზრება, ''ბავშვობის'' და სკოლის გაუქმება. ამ ქვეყანაში, ''სრულ განაკვეთზე'' - მოსწავლე ახალგაზრდების რიცხვი უფრო მეტია, ვიდრე სრულ განაკვეთზე მომუშავე, დაქირავებული მშრომელის. ბავშვი ჩვენ მასწავლებლად გვჭირდება და არა სკოლის მოსწავლედ. მათ დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ლუდისტურ რევოლუციაში, თუნდაც იმიტომ რომ დიდებზე უკეთ იციან თამაში. დიდები და ბავშვები განსხვავდებიან, მაგრამ ურთიერთდამოკიდებულების გრძნობა მათ ათანასწორებს. თაობებს შორის ბარიერის მოშლა, მხოლოდ თამაშით არის შესაძლებელი.

ჯერ არც მიხსენებია, დარჩენილი მცირე და აუცილებელი შრომის კიდევ უფრო შემცირება, ავტომატიზაციის და კიბერნეტიზაციის დახმარებით. როდესაც მეცნიერებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს აღარ მოუწევთ სამხედრო პროგრამებზე მოცდენა ან მოკლე ვადაში წყობიდან გამოსასვლელი ტექნიკის დაპროექტება, ისინი უდიდეს სიამოვნებას მიიღებენ სხვადასხვა გამოგონებით: როგორ დავამარცხოთ დაღლილობა, მოწყენილობა ან წიაღისეულის უსაფრთხო ძიების გზებზე დაფიქრდებიან. ეჭვს გარეშეა, რომ უამრავ პროექტს მოიფიქრებენ. იქნებ, პლანეტარული, მულტიმედიური საკომუნიკაციო ცენტრი შექმნან ან კოლონიები დააარსონ სხვა პლანეტაზე. შესაძლებელია. მე არ ვარ ტექნიკის მოყვარული ფრიკი. ღილაკებიანი ელექტრონული სამოთხე, ჩემთვის არ არის. არ მსურს ჩემი საქმე, მთლიანად რობოტებმა აკეთონ. ვფიქრობ, შრომის შემამსუბუქებელი ტექნოლოგიის ადგილი არის მომავალში, ოღონდ მოკრძალებული. ისტორიული და პრე-ისტორიული პრეცედენტები, მის სასარგებლოდ არ მეტყველებს. ტექნიკური საშუალებების განვითარებამ, მონადირეობა-შემგროვებლობიდან, ჯერ სოფლის მეურნეობაზე გადასვლა გამოიწვია, შემდეგ - ინდუსტრიალიზაციაზე. იმატა შრომის მოცულობამ, მაგრამ იკლო კომპეტენციამ და ადამიანის თვითგამორკვევამ. მზარდმა ინდუსტრიალიზაციამ აშკარა გახადა - ''შრომის დეგრადაცია'', ჰარი ბრავერმანის სიტყვებით. მოაზროვნე დამკვირვებლებმა ეს ყოველთვის იცოდნენ. ჯონ სტიუარტ მილი წერდა, რომ არცერთ, შემოთავაზებულ შრომის შემამსუბუქებელ გამოგონებას, არ დაუზოგავს მშრომელის დრო. იგივე აზრი გვხვდება, კარლ მარქსთან: ''მთელი წიგნის დაწერა შეიძლება, 1830-იანი წლების შემდეგ შექმნილ გამოგონებებზე, რომლებიც კაპიტალმა გამოიყენა პროლეტარიატის წინააღმდეგ''. ტექნოლოგიების ენთუზიასტი მომხრეები: სენ-სიმონი, კონტი, ლენინი, ბ.ფ.

სკინერი - ყველა ავტორიტარი და ტექნოკრატი იყო. კომპიუტერული მისტიკოსების დაპირებებს სკეფსისით უნდა შევხედოთ. ბოლოს და ბოლოს, თვითონ ვირივით შრომობენ. საშუალება რომ მიეცეთ, მოსვენებას არ მოგვცემენ. მაგრამ ნებისმიერ კონკრეტულ შემოთავაზებას უნდა მოვუსმინოთ, თუ ადამიანისთვის იმაზე მეტი სარგებლობის მომტანი იქნება, ვიდრე ჩვეულებრივ არის ხოლმე, მაღალი ტექნოლოგიების პროდუქტი.

ნამდვილად, ძალიან მინდა ვნახო როგორ იქცევა შრომა, თამაშად. ამ მიმართულებით გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება, ‘’სამსახურის’’ და ‘’პროფესიის’’ ცნების უკუგდება. რადგან ისეთი შრომაც კი, რომელიც თამაშის ელემენტს შეიცავს, მთლიანად კარგავს მას, სამსახურეობრივი მოვალეობის გამო. ადამიანის ინტერესი ქრება როდესაც, მხოლოდ მას უწევს კონკრეტული დავალების პერმანენტულად შესრულება და შეზღუდულია სხვა საქმიანობის განხორციელებაში. განა, უცნაური არ არის რომ, თანამედროვე გლეხი იძულებულია ოფლად დაიღვაროს მინდორში შრომით, ხოლო შეძლებული, კონდიციონერით აღჭურვილი კერძო მესაკუთრე, დასვენების დღეებში, ნებაყოფლობით, აუჩქარებლად საქმიანობს ბაღში? უწყვეტი დასვენების დღეების, როგორც ცხოვრების წესის, შემოღებით, დილეტანტიზმის ისეთ ოქროს ხანაში აღმოვჩნდებით, აღორძინების ეპოქაშიც რომ არ დაესიზმრებოდათ. პროფესიები აღარ იქნება - მხოლოდ გასაკეთებელი საქმე და მისი შემსრულებლები.

როგორც, შარლ ფურიემ [31] აღნიშნა, შრომის თამაშად გადაქცევის საიდუმლო შემდეგშია: მაქსიმალური ძალისხმევით ისე გადანაწილდეს სასარგებლო საქმიანობა, რომ სხვადასხვა ადამიანმა სხვადასხვა დროს შეასრულოს სასურველი შრომა. ამგვარად, ბევრ ადამიანს მიეცემა საშუალება, აკეთოს ის რაც მოსწონს. საკმარისია მხოლოდ იმ ირაციონალური სიმახინჯეების მოსპობა, რომლებსაც საქმე შრომამდე დაყავს. მე, მაგალითად, გარკვეული დროის განმავლობაში, სიამოვნებით ვიქნებოდი მასწავლებელი (არა დიდი ხნით), მაგრამ ნამდვილად არ მსურს, მოსწავლეს ან სტუდენტს სწავლა ვაიძულო და არ მინდა კავშირი მქონდეს პათეტიკურ, პედანტ პედაგოგებთან, მუდმივი თანამდებობის განაღდების საქმეში.

გარდა ამისა, არის ისეთი რაღაცეები, რისი კეთებაც ადამიანს სურს - დროგამოშვებით, და არა გამუდმებით. დღეში რამდენიმე საათის განმავლობაში ძიძობა, კარგიც არის. თუნდაც იმიტომ, რომ საინტერესოა ბავშვთან დროის გატარება. მაგრამ არა იმდენი ხნით, რამდენსაც მშობლები ატარებენ შვილთან. მშობლები, თავის მხრივ, მადლიერები იქნებიან თავისუფალი დროისთვის, მაგრამ ინერვიულებენ თუ ბავშვს ძალიან დიდი ხნით მოსცილდებიან. ზუსტად ასეთი განსხვავებები ადამიანებს შორის იძლევა საფუძველს - თავისუფალი, მოთამაშე ტიპის ცხოვრებისთვის. ასევე, ბევრს უყვარს კერძის მომზადება, მაგრამ არ ისურვებდა, ‘’საწვავის’’ მუდმივად მიწოდებას, სამსახურში მიმავალი ადამიანების სხეულებისთვის.

და ბოლოს, მარტოდმარტო, ცუდ პირობებში ან უფროსის ბრძანებით შესრულებული შრომა, რომელიც არ მოსწონს მშრომელს, თავისუფლად შეიძლება სასიამოვნო გახდეს, თუნდაც გარკვეული დროის მანძილზე, თუ ჩამოთვლილი პირობები შეიცვლება. გარკვეულწილად, ეს ეხება ყველანაირ შრომას. ადამიანები წარმოუდგენელ (სხვა გასაქანის არმქონე), გამჭრიახობას იჩენენ, რათა მოსაწყენი შრომა გადააქციონ თამაშად. ერთისთვის სასიამოვნო საქმე, მეორესთვის - უსიამოვნოა. მაგრამ ყველას სხვადასხვა ინტერესი აქვს და დაინტერესებულია მრავალფეროვნებით. როგორც იტყვიან, ‘’ერთხელ - ყველაფერი შეიძლება მოხდეს ’’. შარლ ფურიე, ნამდვილი ოსტატი იყო აბერაციული და პერვერტული მიდრეკილებების სასიკეთოდ გამოყენებაში, პოსტ- ცივილიზებული საზოგადოებისთვის, რასაც ის ‘’ჰარმონიას’’ უწოდებდა. მისი აზრით, იმპერატორ ნერონის მდგომარეობა გამოსწორდებოდა, ახალგაზრდობაში, სასაკლაოზე რომ ემუშავა და ამით ჩაეკლა სისხლისღვრისკენ მიდრეკილება. საყოველთაოდ ცნობილია, როგორ უხარიათ პატარა ბავშვებს ტალახში გორაობა. მშვენივრად შეიძლება ამის გამოყენება და მათგან, ტუალეტის მწმენდავი ან ნაგვის გადამყრელი ‘’ბანდების’’ორგანიზება და გამორჩეულების მედლით დაჯილდოვება. მე ამ კონკრეტულ მაგალითებს არ ვუწევ რეკლამირებას, არამედ თავად პრინციპს, რომელიც ვფიქრობ, გლობალური, რევოლუციური გარდაქმნის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. უნდა გვახსოვდეს, რომ ამოცანა არ მდგომარეობს დღეს არსებული სამუშაოების გადანაწილებაში შესაბამის ადამიანებზე, რომელთა შორის პერვერტებიც მოიძებნებოდნენ. ტექნოლოგიას ამ ყველაფერში, წარმოების და თამაშის ახალი სფეროების აღმოჩენის ფუნქცია უნდა ჰქონდეს და არა შრომის ავტომატიზაციის, მისი საბოლოოდ გაქრობისთვის. გარკვეულ წილად, სასურველი იქნებოდა ხელობის, როგორც ასეთის, დაბრუნება. უილიამ მორისი [32] ხელობის აღორძინებას თვლიდა კომუნისტური რევოლუციის სასარგებლო და სასურველ შედეგად. ხელოვნებას ჩამოვაშორებდით სნობებს და კოლექციონერებს. მოვსპობდით, როგორც ელიტების გასართობ სპეციალიზებულ ფაბრიკას და შრომისგან გაძარცულს, დავუბრუნებდით მშვენიერების და შემოქმედების ერთიანობას. მუზეუმებში დაცული ბერძნული ამფორები, რომლებსაც ოდას ვუძღვნით, თავის დროზე, ზეთისხილის ზეთის შესანახად და გადასატანად გამოიყენებოდა. ღირს ამაზე დაფიქრება, რადგან მეეჭვება ჩვენმა დღევანდელმა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებმა, მსგავსი აღტაცება გამოიწვიოს მომავალში, თუკი საერთოდ დადგება მომავალი. საქმე იმაშია, რომ შრომის სამყაროში პროგრესის ადგილი არ არის. თუ რაიმე არსებობს, მხოლოდ მისი საწინააღმდეგოა. ნუ ვიყოყმანებთ ძველი ხალხისგან მოვიპაროთ ის ღირებული რაც გააჩნდათ. მათ აღარაფერი დააკლდებათ, ჩვენ კი ბევრს შევიძენთ.

ყოველდღიური ცხოვრების ხელახლა აღმოჩენა ნიშნავს, არსებული ჩარჩოებიდან გასვლას. იმაზე მეტი გონებაჭვრეტითი თეორია დაწერილა,

ვიდრე ადამიანების უმეტესობას წარმოუდგენია. გარდა ფურიეს და მორისის ტექსტებისა (აქა-იქ, მარქსისაც), არსებობს: კროპოტკინის; სინდიკალისტების - პატოს [33] და პუჟეს; [34] ძველი (ბერკმანი) და ახალი (ბუკჩინი) ანარქო-კომუნისტების ნაშრომებიც. ძმები გუდმანების ''Communitas'' - საუკეთესო ილუსტრაციაა იმისა, თუ როგორი ფორმა გამომდინარეობს მოცემული მიზნიდან. ასევე, ბევრი რამის აღმოჩენა შეიძლება, ალტერნატიული/ მისადაგებული/გარდამავალი/თანამეგობრული, ხშირ შემთხვევაში, ბუნდოვანი მეთოდების მაცნეებისგან, როგორებიც არიან, შუმახერი [35] და განსაკუთრებით ილიჩი, ოღონდ ჯერ საჭირო იქნება ბურუსის გაფანტვა. სიტუაციონისტები [36] (კონკრეტულად, ვანეიგემის [37] ''ყოველდღიური ცხოვრების რევოლუცია'' და ''სიტუაციონისტური ინტერნაციონალის ანთოლოგია''), შეუბრალებელი სიცხადით გამოთქვამენ აზრს. მართალია, მათ ვერ შეძლეს დაეკავშირებინათ მშრომელთა საბჭოების სქემა, შრომის გაუქმებასთან, მაგრამ მაინც მათი უზუსტობა ჯობს, დღეს არსებულ ნებისმიერ მემარცხენე ვერსიას, როდესაც ყველა შრომას ქადაგებს. რომ არა შრომა და მშრომელი, მაშინ ვისი ორგანიზება უნდა მოეხდინათ მემარცხენეებს?

მაშ ასე, სავარაუდოდ, აბოლიციონისტები - შრომის სრული გაუქმების მომხრეები - თავისი მიზნის ერთგულები დარჩებიან. არავის ძალუძს ზუსტად იწინასწარმეტყველოს, რა მოყვება შრომისგან დაბეჩავებული შემოქმედებითი ძალის გათავისუფლებას. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მოსაწყენი დებატი, თეოლოგიური ქვეტექსტით თემაზე - თავისუფლება აუცილებლობის წინააღმდეგ - თავისით მოგვარდება პრაქტიკაში, მას შემდეგ რაც, გაერთიანდება - ''სასარგებლო პროდუქტის'' წარმოება და მიმზიდველი ''საქმიანობა-თამაში''.

ცხოვრება თამაშად იქცევა. უფრო სწორად, მრავალ ერთდროულ თამაშად და არცერთი იქნება წამგებიანი. პროდუქტიული თამაშის მაგალითია - ოპტიმალური სექსუალური კონტაქტი. მონაწილეები ზრდიან ერთმანეთის სიამოვნებას, არავინ აწარმოებს ანგარიშს და ყველა მოგებულია. რასაც გასცემ, იმას მიიღებ. ლუდისტურ სამყაროშიც, მსგავსი პრინციპით იქნება გაჟღენთილი ყოველდღიური ცხოვრება. განზოგადებულ თამაშს მივყავართ ცხოვრების ეროტიზაციამდე. ამასთან, თვითონ სექსი იქცევა ნაკლებ სასწრაფო და სასოწარკვეთილ ქცევად, უფრო მეტად დაემსგავსება თამაშს. ჩვენს ხელთ არსებული ბანქოს სწორად გათამაშების შემთხვევაში, უფრო მეტსაც მივიღებთ ცხოვრებისგან, ვიდრე მასში ჩავდეთ, ოღონდ მოგებაზე თამაშისას არ უნდა დავნებდეთ.

არავინ, არასოდეს არაა ვალდებული იშრომოს. პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა.... მოდუნდით!

შენიშვნები:

1 - ბლექი იყენებს ტერმინს - Ludic (ლათ. Ludus - თამაში), რაც ნიშნავს, საზეიმო განწყობა/გართობას რაიმე მიზნის გარეშე. ‘’**ლუდისტური**’’ არ ნიშნავს ლუდიტურს (ლუდიტური რევოლუცია, ლუდიზმი). ბლექი, ფეიქარ ნედ ლუდის გვარით და მისგან წარმოებული სიტყვით თამაშობს: **Ludd, Luddite** და **Ludic**-ს, მსგავსი ჟღერადობის ფუძე აქვს. ეყრდნობა, მე-19 ს.-ში, სამუშაო ადგილების დაკარგვით შეშინებული ლუდიტების ბრძოლას ტექნიკური პროგრესის წინააღმდეგ, მაგრამ შემოაქვს განსხვავებული - ლუდისტური ‘’შრომა-თამაშის ’’ ცნება, ანარქო-პრიმიტივიზმის ელემენტებით.

2 - ეს მოსაზრება გადაჭარბებულია. მარქსიზმის და ანარქიზმის ზოგიერთი მიმართულება, მათ შორის, ანარქო-კომუნიზმიც საუბრობს შრომის გაუქმებაზე. მაგ; http://libcom.org/library/work-free-society-anarchist-federation

3 - პოლ ლაფარგი (1842 – 1911) ფრანგი ეკონომისტი, მარქსისტი თეორეტიკოსი, რომელიც ანარქიზმის გავლენას განიცდიდა.

4 – ბ. ბლექი გულისხმობს ამერიკელ, მემარჯვენე ‘’ლიბერტარიანელ’’ კაპიტალისტებს.

5 - გადაჭარბებულია. შესაძლოა მართალი იყოს ბურჟუაზიული ფემინიზმის ზოგი მიმართულებისთვის, მაგრამ მთლიანობაში ასე არ არის: https://a-library.org/anarqo-feminizmi/

6 - სიტყვებით თამაში: Ludic – Quaaludic

7 – (!) აქ და ძირითადად, ბლექი იყენებს მამრ. სქესის ნაცვალსახელს - ‘’He’’.

8 - ელიტისტური მიზანთროპია, რომელიც ხშირად გამოსჭვივის- ესეს ყველაზე პრობლემური მხარეა.

9 - მაქს ვებერი (1864 – 1920), გერმანელი ფილოსოფოსი, სოციოლოგი. ერთმანეთს უკავშირებს კალვინიზმის ეთიკას და კაპიტალისტურ სულისკვეთებას.

10 - ‘’წმინდა ორშაბათი’’ - მე-17 საუკუნის ბოლომდე, ხელფასს იღებდნენ შაბათს, ხოლო ორშაბათს თავს არიდებდნენ მუშაობას.

11 - ძველი რეჟიმი - საფრანგეთის არისტოკრატული, პოლიტიკური წყობა, 1789 წლის რევოლუციამდე.

12 - ალექსანდრე ჩაიანოვი - (1888 – 1937) რუსი, საბჭოთა ანთროპოლოგი, სოციოლოგი.

13 - მუჟიკი - (რუს.) ყმა, გლეხი, მამაკაცი.

14 - ტომას ჰობზი - (1588 – 1679) ინგლისელი ფილოსოფოსი, სოციალური კონტრაქტის შესახებ თეორიის ფუძემდებელი.

15 - ტომას ჰენრი ჰაქსლი (1825 – 1895) ინგლისელი ბუნებისმეტყველი, ჩარლზ დარვინის მოძღვრების თავდადებული დამცველი. რის გამოც, ‘’დარვინის ქოფაკი’’ შეარქვეს.

16 – მარშალ სალინსი (1930 -) ამერიკელი ანთროპოლოგი. სალინსი, საზოგადოების ფორმირების პროცესში კულტურის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. აკრიტიკებს ‘’Homo economicus’’-ის იდეას.

17 – Friedrich Schiller: ‘’On the Aesthetic Education of Man’’

18 - აბრაამ მასლოუ - (1908 – 1970) ამერიკელი ფსიქოლოგი. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის დამფუძნებელი.

19 – Mary George Dorothy (1878 – 1971): England in transition; Life and work in the eighteenth century.

20 – Peter Burke (1937 -): Popular Culture in Early Modern Europe.

21 – Daniel Bell (1919 – 2011): Work and its Discontents.

22 – Seymour Martin Lipset (1922 – 2006): Political Man: The Social Bases of Politics.

23 - პოლ პოტის მმართველობის პერიოდში (1975 – 1979 წწ), მისი ბრძანებით, მილიონობით კამბოჯელი დახვრიტეს ან საკონცენტრაციო ბანაკებში მოათავსეს.

24 - იგულისხმება ლიბერალიზმი აშშ-ში, რომელიც კლასიკური ლიბერალიზმისგან (ასევე, ნეო-ლიბერალიზმიგან) განსხვავებით, მხარს უჭერს სოციალურად ორიენტირებულ, კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკას ანუ ემხრობიან სახელმწიფოს ჩარევას ეკონომიკურ პროცესებში.

25 - თაიმზ ბიჩი (Times Beach) - ქალაქი, მისურის შტატში, სადაც 80-იან წლებში, ხელისუფლების დაუდევრობით, ქუჩები დიოქსინით მორწყეს (იდეაში, გზების დამტვერიანების საწინააღმდეგოდ) . რასაც, 2 200 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა. ქალაქი მთლიანად ევაკუირებულ იქნა; თრი-მაილ აილენდი (Three-Mile Island) - პენსილვანიაში მდებარე ატომური ელექტრო სადგური, რომელზეც ავარია მოხდა 1979 წელს.

26 - იუჯინ ჯენოვეზე (1930 – 2012), ამერიკელი ისტორიკოსი, სამხრეთ ამერიკის მონობის ისტორიის მკვლევარი.

27 - პოლ გუდმანი (1911 – 2007), ამერიკელი დრამატურგი, პოეტი, ფსიქოთერაპევტი, სოციოლოგი, ანარქისტი, გეშტალტ თერაპიის ერთერთი დამაარსებელი. მისი ძმა, პერსივალ გუდმანი (1904 – 1989), არქიტექტორი, ურბანული დიზაინერი.

28 - სინამდვილეში, ზოგან გაიზარდა.

29 - გადამეტებული ანალოგიაა

30 - ივან ილიჩი (1926 – 2002), ავსტრიელი ფილოსოფოსი. დასავლური, ინდუსტრიული საზოგადოების კრიტიკოსი.

31 - შარლ ფურიე (1772 – 1837), ფრანგი ფილოსოფოსი, სოციოლოგი, სოციალისტური უტოპიზმის ერთერთი წარმომადგენელი. მან შემოიღო ტერმინი - ‘’ფემინიზმი’’.

32 - უილიამ მორისი (1834 – 1896), ინგლისელი ტექსტილის დიზაინერი, პოეტი, მთარგმნელი, სოციალისტი. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ბრიტანეთის სოციალისტურ მოძრაობაში.

33 - ემილ პატო (1869 – 1935), ფრანგი რევოლუციონერი, სინდიკალისტი. ელექტრო ტექნიკოსთა პროფკავშირის თავმჯდომარე. შემდგომში, ანარქო-სინდიკალისტი. იყენებდა გაფიცვის და პირდაპირი მოქმედების აქციებს.

34 - ემილ პუჟე (1860 – 1931), ფრანგი ანარქო-კომუნისტი, მილიტანტ ანარქისტი. 1901-1908 წლებში, მშრომელთა გენერალური კონფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე.

35 - ერნსტ ფრიდრიხ შუმახერი (1911 – 1977), გერმანელ-ბრიტანელი ეკონომისტი. ეკონომიკური მრჩეველი ზამბიასა და ბირმაში. აკრიტიკებდა თანამედროვე ეკონომიკურ კონცეფციებს.

36 - სიტუაციონიზმი - 60- იანი წლების ევროპაში, ანარქიზმთან მიახლოვებული მიმდინარეობა. კაპიტალიზმს განიხილავდნენ, როგორც კონსუმერულ საზოგადოებას, ადამიანის წარმოებითი ბუნების საწინააღმდეგო მოვლენას. მოძრაობის ლიდერი იყო გი დებორი. უარყოფდნენ სახელმწიფოს და პარტიის მამოძრავებელ როლს სოციალიზმში. მაგრამ, რევოლუციის მოსამზადებელ მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევდნენ მშრომელთა საბჭოების შექმნას.

37 - რაულ ვანეიგემი - (1934 -), ბელგიელი მწერალი, ფილოსოფოსი. მონაწილეობდა სიტუაციონისტურ ინტერნაციონალში. შემდეგ წლებში, ავითარებს იდეას, თვითმმართველი და თვითორგანიზებადი საზოგადოების შესახებ.